საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/181

19 ----- ოქტომბერი, 2021 წ. ქ. ბათუმი

2021-2022 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ,,2021-2022 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 ივნისის N283 დადგენილების, ,,2021 - 2022 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 21 ივლისის №50/ნ ბრძანების, ,,2021-2022 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 19 ოქტომბრის **N06-01/107** დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2021-2022 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების (967,500 ლარის ფარგლებში) ფარგლებში) მიმღები, ბსუ-ს ბაკალავრიატის და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა კონტიგენტი, სულ 430 ადგილი, გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-85;
ბ) ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-60;
გ) მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-40;
დ) აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-60;
ე) ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-95;
ვ) ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-60;
ზ) ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-20;
თ) ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-5;
ი) ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-5;

2. წინამდებარე ბრძანება გაიგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტებს).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ.№30) გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**